ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №47

13 ივლისი 2023 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, არჩილ გორდულაძე,ანა გოგოლაძე, მიხეილ კაკაურიძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

საკრ.№15-032319160-03 10/07/23(11-01231911399) საკრ.№15-0323193127-03 12/07/23(11-01231932958)

ლევან მიქავას მოხსენებით, მთაწმინდის რაიონული გამგეობის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, პროგრამის „ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 05 01 17) მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 40 000 ლარით. თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან. აღნიშნული ცვლილება ესაჭიროებათ დაგეგმილზე მეტი მოცულობის შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად.

ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურიაღნიშნავს, რომ დაფიქსირდა პროგრამით „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება“ (პროგ/კოდი 06 02 22) მოსარგებლე, დაგეგმილთან შედარებით მეტი რაოდენობის ბენეფიციარის მომართვა. პროგრამაში ამ ეტაპისთვის საკმარისი თანხა არ აქვთ და მესამე კვარტალს ემატება 50 000 ლარი მეოთხე კვარტლიდან.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნით, პროგრამის „სპორტული მოედნების მშენებლობა რეკონსტრუქცია“(პროგ/კოდი 08 06 05) მეორე კვარტალს ემატება 15 000 ლარი, რასაც აბალანსებენ პროგრამაში „სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა“ (პროგ/კოდი 08 06 06) მეორე კვარტალში არსებული ეკონომიით. ცვლილება ესაჭიროებათ, ვარკეთილი -3 3 მ/რ-ის კორპ.319-ის მიმდებარედ, 180 -ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური ცენტრის ეზოში, 2 პადელის მოედნის და ვაზისუბნის დასახლებაში ფეხბურთის მოედნის მოწყობისათვის.

ასევე იზრდება „ახალგაზრდობის ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 08 08 01) მესამე კვარტლის გეგმა 50743 ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონული გამგეობა, კულტურის,

განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური,ასევე სსიპ ქონების მართვის სააგენტო ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე **დამსწრე წევრებმა უმრავლესობით გადაწყვიტეს:**

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე